აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება ანუ მმართულთა მმართველობა*

მეშვიდე გაკვეთილი

კონსტიტუციური მმართველობის რომელი ძირითადი იდეები დაიძებნა კოლონიურ მმართველობაში?

მეშვიდე გაკვეთილის მიზანი

ეს გაკვეთილი მოგვითხრობს კონსტიტუციური მმართველობის ძირითადი იდეების გამოყენებაზე ამერიკულ კოლონიებში, 150 წლის მანძილზე რომ იმყოფებოდნენ ინგლისის ბატონობის ქვეშ. კოლონიურ მმართველობაში ამ იდეების გამოყენება თქვენ დაგეხმარებათ იმის ასახსნელად, თუ რატომ აირჩიეს „დამფუძნებლებმა“ ეროვნული მმართველობის დღევანდელი მოდელი.

გაკვეთილის დასასრულს თქვენ შეძლებთ ახსნათ კოლონიურ მმართველობებში კონსტიტუციური მმართველობის ძირითადი იდეების გამოყენება. ზოგიერთი ახალი იდეა და ტერმინი, რომლის ახსნაც თქვენ აგრეთვე შეგეძლებათ, ქვემოთაა ჩამოთვლილი.

კოლონიური მმართველობა
საერთო სამართალი
მაგისტრატები

ინგლისის ერთგული ქვეშევრდომები ამერიკაში

„ინგლისის სამართალი არის ...კოლონიების სამართალი ...სადაც უნდა წავიდეს ინგლისელი, მას თან დააქვს იმდენი სამართალი და თავისუფლება, რამდენის საშუალებასაც მას საგანთა ბუნება აძლევს“. (ლონდონის სავაჭრო საბჭოს კონსულის აზრი, 1720).

* დასაწყისი იხილეთ ჟურნალის I, II და III ნომერში.

ინგლისელი კოლონისტები, რომლებიც ახალ მსოფლიოში მოვიდნენ, საკუთარ თავს ერთგულ ქვეშევრდომებად თვლიდნენ. მათ თან მოიტანეს ინგლისური ჩვეულებები, ინგლისური კანონები და იდეები მმართველობის შესახებ. 150 წლის მანძილზე ამ კოლონიებს ინგლისის ხელისუფლება მართავდა. ამის მიუხედავად, სწორედ იმიტომ, რომ ისინი ინგლისისგან დაშორებული იყვნენ, საკუთარი ადგილობრივი მმართველობის შექმნის საჭიროებაც გაჩნდა. ვინაიდან ეს 13 კოლონიური მმართველობა, საბოლოო ჯამში, ინგლისის ხელისუფლების კონტროლქვეშ იმყოფებოდა, მათი უფლებამოსილებანი შეზღუდული იყო და არ შეეძლოთ ინგლისის კონსტიტუციის, კანონების, ტრადიციების ან სამთავრობო პოლიტიკის დარღვევა.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲣᲠ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ

თქვენ უკვე შეიტყვეთ, რომ მე-17 საუკუნის დასასრულისათვის ინგლისის მმართველობა ეყრდნობოდა მრავალ ძირითად იდეას, რაც კონსტიტუციურ მმართველობაზე შეისწავლეთ. ისევე, როგორც ამჟამად, ინგლისს კონსტიტუცია ჰქონდა და, მართალია, ეს არ იყო ერთიანი დაწერილი დოკუმენტი, მაგრამ შედგებოდა საერთო სამართლის, პარლამენტის აქტების, პოლიტიკური ჩვეულებებისა და ტრადიციებისგან. ინგლისის საერთო სამართალი მოიცავდა ჩვეულებებსა და სასამართლოთა მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე დაფუძნებულ მრავალ დაუწერელ კანონს, რაც წლების განმავლობაში სამართლებრივ პრინციპებად ჩამოყალიბდა. ინგლისურ კოლონიათა მმართველობებში ინგლისის კონსტიტუციური მმართველობის შემდეგი ძირითადი იდეები აისახა.

1. ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ

კოლონიურ მმართველობათა კანონები ნაწილობრივ ეყრდნობოდნენ იმ მოსაზრებას, რომ მმართველობის დანიშნულებას წარმოადგენს სიცოცხლეზე, თავისუფლებასა და საკუთრებაზე ადამიანთა ბუნებითი უფლებების დაცვა. ეს იდეა, გარკვეულწილად, ინგლისის საერთო სამართალშიც აისახა.

ამის მიუხედავად, ამ პერიოდის ისტორიის კითხვის დროს ძალზე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ისეთი ლეგალური უფლება, როგორიცაა, მაგალითად, ხმის მიცემის უფლება, ჩვეულებრივ ნიშნავდა უფლებას თეთრკანიანისა, რომელსაც გარკვეული ოდენობის საკუთრება გააჩნდა. ამერიკული რევოლუციის დროს დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის მამაკაცთა მხოლოდ 10%-ს ჰქონდა ხმის უფლება. ადამიანები, ვისაც ასეთი უფლებები არ ჰქონდათ, იყვნენ: ა) ქალები; ბ) თავისუფალი თეთრკანიანი მამაკაცები, ვისაც სა-

კუთრება არ გააჩნდა; გ) მოსამსახურეებად დაქირავებული თეთრკანიანები; დ) თავისუფალი შავკანიანები; ე) მონები და ვ) ინდიელები. მაგალითისათვის: ინგლისური კანონების თანახმად, ქალს არა თუ ჰქონდა ხმის მიცემის უფლება, არამედ „ქმარი და ცოლი ერთ არსებად განიხილებოდნენ... ქორწინების განმავლობაში ქალის სამართლებრივი არსებობა შეჩერებული იყო“.

2. ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

ეს იდეა გამოიხატებოდა ზოგადი წესით, რომ კოლონიური მმართველობის მესვეურებს ეკრძალებოდათ ისეთი კანონების შექმნა და, საერთოდ, ნებისმიერი ქმედება, რაც დაარღვევდა ინგლისის კონსტიტუციას. იმ კანონებთან მიმართებაში, რომლებსაც კოლონიური მმართველობები ქმნიდნენ, ინგლისის კანონი უმაღლეს კანონად იყო მიჩნეული, ვინაიდან მას ჰქონდა უპირატესი იურიდიული ძალა.

3. ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲚᲔᲑᲐ

ისევე როგორც ინგლისში, აქაც ხელისუფლების შესაძლო ბოროტად გამოყენებისაგან ხალხის დასაცავად, კოლონიების მმართველობის უფლებამოსილებანი შემდეგ სამ ხელისუფლებას შორის იყო გაყოფილი.

- **აღმასრულებელი ხელისუფლება.** გუბერნატორების მოვალეობა იყო კანონთა განხორციელება და ცხოვრებაში გატარება. ამერიკული რევოლუციის დროს კოლონიათა უმრავლესობაში გუბერნატორებს ირჩევდა მეფე ან მესაკუთრეები. მხოლოდ კონექტიკუტში და როუდ-აილენდში გუბერნატორებს ირჩევდნენ ის პირები, ვისაც ხმის უფლება ჰქონდათ.

- **საკანონმდებლო ხელისუფლება.** თითოეულ კოლონიას გააჩნდა ლეგისლატურა, რომლის მოვალეობა იყო კანონთა შექმნა. ყველა მათგანი წააგავდა ინგლისის პარლამენტს, თავ-თავიანთი „ზედა პალატებით“, ლორდთა პალატის მსგავსად, და „ქვედა პალატებით“, თემთა პალატის მსგავსად. ზედა პალატის წევრები წარმოადგენდნენ გუბერნატორის მიერ დანიშნულ ან კოლონიების ყველაზე უფრო შეძლებულ მესაკუთრეთა მიერ არჩეულ პირებს. რაც შეეხება ქვედა პალატას, მის წევრებს ირჩევდა კოლონიაში მცხოვრები ყველა მესაკუთრე. გამონაკლისს პენსილვანია წარმოადგენდა; მას მხოლოდ ერთი პალატა ჰქონდა.

- **სასამართლო ხელისუფლება.** ამ ხელისუფლებას ქმნიდნენ მაგისტრატებად წოდებული მოსამართლეები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, გუბერნატორი ნიშნავდა. მათი მოვალეობა იყო კანონთან დაკავშირებული კონფლიქტების მოგვარება და კანონის დარღვევაში ბრალდებულთა გასამართლებისას

სხდომის თავმჯდომარეობა, აგრეთვე, იმის უზრუნველყოფა, რომ კოლონიების მართვა-გამგეობა განხორციელებულიყო ინგლისის კანონებთან და ტრადიციებთან სრულ შესაბამისობაში.

4. კონტროლი და გაწონასწორება

ამრიგად, უფლებამოსილებანი გაყოფილი და ზოგჯერ განაწილებული იყო სამ ხელისუფლებას შორის ისე, რომ თითოეული მათგანი კონტროლდებოდა სხვა ხელისუფლებათა მიერ, მაგალითად:

- გუბერნატორთა ხელისუფლებაზე კონტროლი გამოიხატებოდა იმით, რომ: ა) მათ არ შეეძლოთ გადასახადების აკრეფა ლეგისლატურის თანხმობის გარეშე; ბ) მათ არ შეეძლოთ პიროვნების დაპატიმრება, მისი მაგისტრატთა მიერ სასამართლო პროცესზე გასამართლების გარეშე; გ) მათი ჯამაგირის საკითხს ლეგისლატურა განიხილავდა და წყვეტდა.
- ლეგისლატურების ხელისუფლებაზე კონტროლი შემდეგში მდგომარეობდა:

  ა) მათ მიერ მიღებული კანონების ცხოვრებაში გასატარებლად გუბერნატორს უნდა დაჰყრდნობოდნენ; ბ) მაგისტრატების უფლებამოსილება იყო შეემოწმებინათ, ხომ არ ეწინააღმდეგებოდა ინგლისის კანონებს ლეგისლატურის მიერ შექმნილი კანონები; გ) ზოგიერთ კოლონიაში გუბერნატორს ჰქონდა ვეტოს უფლება.
- მაგისტრატების ძალაუფლება კონტროლდებოდა იმით, რომ: ა) მათ ნიშნავდა გუბერნატორი; ბ) გუბერნატორს ან ლეგისლატურას შეეძლო მათი გადაყენება იმ შემთხვევაში, თუ მათ გადაწყვეტილებას დაუშვებლად მიიჩნევდნენ; გ) მაგისტრატთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება გუბერნატორზე იყო დამოკიდებული; დ) ყოველი ინგლისელის ძირითადი უფლება იყო ის, რომ გასამართლებული ყოფილიყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ, რომელიც მისი თემის წევრებით იქნებოდა დაკომპლექტებული.

5. წარმომადგენლობითი მმართველობა და ხმის უფლება

წარმომადგენლობითი მმართველობა პირველი კოლონიების დაარსებისთანავე წარმოიშვა. პირველი წარმომადგენლობითი შეკრება ვირჯინიაში 1619 წელს შედგა. როგორც თქვენ უკვე იცით, 1689 წლის ინგლისის უფლებათა ბილმა ინგლისელ მესაკუთრეებს თავიანთი ინტერესების დასაცავად თემთა პალატაში წარმომადგენელთა არჩევის უფლება მისცა.

უფლებათა ბილის მიღებისთანავე, ინგლისის პარლამენტი იღვწოდა კოლონიებში წარმომადგენლობითი მმართველობის იდეის დანერგვისათვის. ყოველი კოლონიის ლეგისლატულის ერთი პალატა მაინც ხმის უფლების მქონე ამომრჩევლებს უნდა აერჩიათ.

მოქალაქეთა მიერ წარმომადგენელთა არჩევის უფლება განიხილებოდა: ა) როგორც ხელისუფლების მესვეურთა მხრივ ხალხის უფლებათა დარღვევის შესაძლებლობის შეზღუდვა; ბ) იმის უზრუნველყოფის საშუალება, რომ ხელისუფლების თუნდაც ერთ ნაწილს ეზრუნა ხალხის მოთხოვნილებებსა და ინტერესებზე ან იმათ ინტერესებზე, ვისაც ხმის მიცემის უფლება ჰქონდა.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲔᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ

ასეთია ინგლისის მმართველობის ზოგიერთი ძირითადი იდეა და გამოცდილება, რომლებიც კოლონისტებმა გადმონერგეს ჩრდილოეთ ამერიკაში. ეს ფრიად მნიშვნელოვანი იყო, რადგან კოლონიებს დიდი თავისუფლება ჰქონდათ თვითმმართველობის საკუთარი შეხედულებით განსახორციელებლად. ასეთი თავისუფლება, უწინარეს ყოვლისა, ინგლისიდან დიდი მანძილით დაშორების შედეგი იყო. გარდა ამისა, ინგლისი ხშირად ომობდა ევროპის სხვა ქვეყნებთან და ამიტომ არ ჰქონდა დრო კოლონიების სრულფასოვანი კონტროლისათვის.

ყოველივე ამის შედეგად, კოლონისტებმა ირწმუნეს, რომ მათ დიდი ხმა და უფლებები ჰქონდათ საკუთარ სამფლობელოში. ამისდა მიუხედავად, ბრიტანეთის 150-წლიანი ერთგული ქვეშერდომობის შემდეგ, მოვლენათა განვითარებამ გამოიწვია ბრიტანეთის ბატონობისაგან გათავისუფლება და ახალი სახელმწიფოს შექმნა. ეს მოვლენები კი მომდევნო გაკვეთილის საგანია.

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲨᲔᲔᲪᲐᲓᲔᲗ ᲐᲛᲝᲘᲪᲜᲝᲗ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲣᲠ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲛ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ

ამოიცანით, განმარტეთ და უპასუხეთ: რომელი ამერიკული კოლონიის მმართველობაში შეიძლება დაიძებნოს თითოეული აქ ჩამოთვლილი იდეა.

იდეა

სად დაიძებნა

ძირითადი უფლებები
შეზღუდული მმართველობა
გაყოფილი უფლებამოსილებანი
კონტროლი და გაწონასწორება
უმაღლესი კანონი

ცოდნის შემოწმება და შესწავლილი მასალის გამოყენება

1. ამერიკელი კოლონიების ლიდერები საკუთარ თავს მიიჩნევდნენ ყველა იმ უფლებებითა და თავისუფლებებით, რაც კი მათმა წინაპრებმა მოიპოვეს. კოლონიური მმართველობები იყო ინგლისური წარმოდგენის ნიმუში კარგი მმართველობის შესახებ. აღწერეთ მსგავსება კოლონიურ მმართველობებსა და ინგლისის მმართველობებს შორის.

2. რაკი კოლონისტებს სწამდათ, რომ კონსტიტუციური მმართველობის ერთერთი მთავარი მიზანია ინდივიდის საკუთრებით უფლების დაცვა, ხმის მიცემის უფლება მათ მხოლოდ მესაკუთრეებს მიანიჭეს. რა არგუმენტებს მოიშველიებდით თქვენ ამ პოლიტიკის სასარგებლოდ? რა აზრს განავითარებდით იმ შემთხვევაში, თუკი მისი წინააღმდეგი იქნებოდით?

3. ამერიკის კოლონიური ისტორიის უმეტესი ხნის მანძილზე ცამეტივე კოლონია საკმაო თავისუფლებით სარგებლობდა, რათა თავი საკუთარი სურვილისამებრ ემართა. რა გარემოებებმა მისცა კოლონიებს ამის საშუალება?

გაკვეთილი 8
რატომ სურდათ კოლონიებს დიდი ბრიტანეთისაგან თავის დახსნა?
მერვე გაკვეთილის მიზანი

როგორც თქვენ წინა გაკვეთილიდან შეიტყვეთ, 150 წელზე მეტ ხანს კოლონიები დიდი ბრიტანეთის ნაწილს წარმოადგენდნენ. თითქმის მთელი ამ ხნის განმავლობაში ბრიტანეთის მმართველობასთან მათ მცირეოდენი გართულება თუ ჰქონდათ. ამისდა მიუხედავად, თანდათანობით მდგომარეობა იმდენად შეიცვალა, რომ კოლონიებმა გადაწყვიტეს დამოუკიდებელნი გამხდარიყვნენ

დედასამშობლოსაგან. ჩვენი შემდგომი ამოცანაა ასეთი გადაწყვეტილებების მიზეზების შესწავლა.

გაკვეთილის შესწავლის დროს ყურადღება მიაქციეთ, რა ვითარებაში აცხადებდნენ კოლონისტები, რომ ბრიტანეთის ხელისუფლება არღვევდა კონსტიტუციური მმართველობის ზოგიერთ ძირითად პრინციპს; მოემზადეთ, რათა ეს იდეები გამოიყენოთ დიდი ბრიტანეთისაგან დამოუკიდებლობის დეკლარაციის გასამართლებლად. ამ გაკვეთილებში ასახული დამატებითი იდეები და ტერმინები, რომლებიც თქვენ უნდა განმარტოთ, ქვემოთაა ჩამოთვლილი:

სამინისტროები
კორუმპირებული მმართველობა
კონსტიტუციური კონგრესი
ხელისუფლების ბოროტად გამოყენება
მინითმენი

ხელისუფლების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად

როგორც თქვენ უკვე შეისწავლეთ, მრავალ ადამიანს ევროპასა და კოლონიებში სჯეროდა, რომ ინგლისის მმართველობის უდიდესი ძალა იყო უფლებამოსილებათა განაწილება ხელისუფლების განშტოებებს შორის, რომლებიც ხალხის სხვადასხვა ჯგუფს წარმოადგენდნენ. მათი აზრით, უფლებამოსილებათა გაყოფა და გაწონასწორება უზრუნველყოფდა იმას, რომ მეფე, დიდგვაროვანი თავადაზნაურობა და საკუთრივ ხალხი დაზღვეული ყოფილიყო ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისაგან. ამის მიუხედავად, კოლონიურ ხანაში მოვლენათა განვითარებამ ხალხს აფიქრებინა, რომ მმართველობის ბრიტანული სისტემა არასათანადოდ ფუნქციონირებდა. ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები ქვემოთაა განხილული.

ინგლისი მსოფლიოს უძლავრესი სახელმწიფო ხდება

1600-იანი წლების მიწურულს ინგლისი სულ უფრო მძლავრი სახელმწიფო ხდებოდა. ჰყავდა არმია და ფლოტი, რომლებსაც მთელ მსოფლიოში შეეძლოთ თავიანთი ძალის გამოყენება. ქვეყანას ჰქონდა აგრეთვე მრავალი კოლონია, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მას დიდი სიმდიდრითა და სხვა რესურსებით. რაც უფრო დიდი და რთული ხდებოდა სახელმწიფო, მით უფრო იზრდებოდა მისი ქმედითი და ეფექტიანი მართვის საჭიროება.

ქვეყნის მართვის გასაუმჯობესებლად პარლამენტი და მეფე შეთანხმდნენ, შეექმნათ სამინისტროები ან მთავრობის დეპარტამენტები. მათ სათავეში ჩაუდგნენ მინისტრები, რომელთაც ევალებოდათ მეფისთვის დახმარების გაწევა ახალი პოლიტიკის გასავითარებლად და პარლამენტის მიერ გამოცემული კანონების განსახორციელებლად. მეფე და მინისტრები შეადგენდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებას ანუ ხელისუფლების აღმასრულებელ განშტოებას.

ბრალდებანი ბრიტანეთის ხელისუფლების კორუმპირებულობის გამო

1720 წლის დასაწყისისათვის დიდ ბრიტანეთში ხალხის ნაწილს მიაჩნდა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება სხვებზე უფრო მომძლავრდა. ისინი წუხდნენ, რომ სხვადასხვა ხელისუფლებას შორის უფლებამოსილებათა ბალანსის ასეთ დარღვევას შეიძლება გამოეწვია მეფისა და მისი მინისტრების მხარეზე იმდენად ჭარბი უფლებამოსილებების დაგროვება, რომ: ა) მოხდებოდა ინგლისის კონსტიტუციით მათზე დაწესებული შეზღუდვების უგულვებელყოფა; ბ) ხალხის უფლებების დარღვევა და გ) საერთო კეთილდღეობის ხარჯზე საკუთარი ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება.

ხელისუფლების აღმასრულებელი განშტოების უფლებების ასეთი მკვეთრი ზრდის გამო მრავალი კრიტიკოსი დიდ ბრიტანეთში აცხადებდა, რომ ქვეყნის მმართველობა კორუმპირებული გახდა. მეფისათვის ჩვეულებად იქცა პარლამენტის წევრების მოქრთამვა, რათა მისთვის სასურველად ემოქმედათ. იგი ამას აკეთებდა პარლამენტის წევრებისათვის ფულის მიცემით, მათი მინისტრებად ან სხვა თანამდებობაზე დანიშვნით. კრიტიკოსები მიუთითებდნენ აგრეთვე რომ მინისტრთა მოთხოვნით ხდებოდა გადასახადთა და მეფის არმიის რიცხვის ზრდა. ისინი შეწუხებული იყვნენ იმითაც, რომ მინისტრებმა და მეფემ მჭიდრო თანამშრომლობა დაამყარეს ბანკირებთან და საქმოსნებთან, საერთო კეთილდღეობის ხარჯზე თავიანთი პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ეს არის ის, რასაც პოლიტიკური ფილოსოფოსები „კორუმპირებულ მმართველობაში“ გულისხმობენ.

ბრიტანეთის ხელისუფლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება ცნობილი იყო კოლონისტებისათვის ამერიკაში. მიუხედავად ამისა, ვინაიდან ხელისუფლებამ ისინი უპირატესად თავის ნებაზე მიუშვა, კოლონისტები სერიოზულად არ შეშფოთებულან კრიტიკოსთა ამგვარი გაფრთხილების გამო.

ბრიტანეთის ხელისუფლება აძლიერებს კონტროლს კოლონიებზე

ამერიკული კოლონისტები განგაშმა მოიცვა, როდესაც ბრიტანეთის ხელისუფლებამ მზარდი ინტერესი გამოხატა კოლონიებზე საკუთარი კონტროლის გასაძლიერებლად. ეს ინტერესი, მეტი თუ არა, ნაწილობრივ მაინც არსებობდა, რადგან კოლონისტებს ყოველთვის შეეძლოთ განზე გამდგარიყვნენ და არ დამორჩილებოდნენ პარლამენტის მიერ გამოცემულ მათთვის არასასურველ კანონებს, მაგალითად, ნავიგაციის აქტებს, მათ ვაჭრობას რომ აკონტროლებდა.

გარდა ამისა, დიდი ბრიტანეთი ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა საფრანგეთთან. „ფრანგთა და ინდიელთა ომის“ დროს ფრანგებმა გამოიყენეს ამერიკელი ინდიელები, რათა დახმარებოდნენ მათ ბრიტანეთის ფორტებისა და დასავლეთის კოლონისტთა დასახლებების წინააღმდეგ ბრძოლაში. მართალია, დიდმა ბრიტანეთმა ომი მოიგო, მაგრამ კოლონისტთა დასაცავად ამერიკაში საკუთარი ჯარების შენახვა მას ძალზე ძვირი უჯდებოდა.

ომის დასრულების შემდეგაც საზღვრების გასწვრივ კვლავ მღელვარება შეინიშნებოდა, რაც გამოწვეული იყო კოლონისტთა დასავლეთისაკენ გადანაცვლებითა და ინდიელთა მიწების დაპყრობით. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ბრიტანეთის ხელისუფლებამ კოლონისტებს უბრძანა, უკან დაეხიათ. პარლამენტმა გაზარდა კოლონისტთა გადასახადები, რათა დაეფარა კოლონიებში ინდიელებისაგან დასაცავად ბრიტანეთის ჯარების შესანახი ხარჯები. ამავე დროს, ბრიტანეთის ხელისუფლებამ გააძლიერა კონტროლი კოლონისტთა ვაჭრობაზე.

კოლონისტები იწყებენ წინააღმდეგობას

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კოლონისტი დათანხმდა პარლამენტის ამ აქტებს, მათი ნაწილი მაინც წინააღმდეგი გამოვიდა. ეს წინააღმდეგობა, ნაწილობრივ, ახალი საგადასახადო და სავაჭრო კანონებით იყო გამოწვეული, რაც იმას ნიშნავდა, რომ ზოგიერთი კოლონისტი ამით ფულს კარგავდა. მაგრამ, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი ის იყო, რომ წლების განმავლობაში კოლონისტები საკმაოდ შეეგუენ წარმომადგენლობითი მმართველობის იდეას.

კოლონისტები დარწმუნებული იყვნენ, რომ წარმომადგენლობითი მმართველობა საუკეთესო საშუალება იყო მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ვინაიდან მათ არა აქვთ უფლება ბრიტანეთის პარლამენტში წარმომადგენლობა აირჩიონ საკუთარი ინტერე-

სების დასაცავად, არც ასეთ პარლამენტს აქვს უფლება, გამოსცეს კანონები, რომლებიც მათ ახალ გადასახადებს დაუწესებს. კოლონისტთა აზრით, საგადასახადო კანონები მხოლოდ საკუთარმა კოლონიურმა ლეგისლატურებმა უნდა მიიღონ, რადგან მათ აქვთ უფლება, ხმა მისცენ იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ამომრჩეველთა ინტერესებს დაიცავენ. თქვენ, უთუოდ, იცნობთ კოლონისტთა ცნობილ მოთხოვნას: „არავითარი გადასახადი წარმომადგენლობის გარეშე“.

წამყვან კოლონისტთა შიში კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც ბრიტანეთის ხელისუფლებამ გადასახადების აკრეფა გააგრძელა და კოლონიების ვაჭრობაზე კონტროლი გაამყარა. მან გამოსცა აქტები, რომლებმაც კოლონიებისათვის დააწესა დამატებითი საიმპორტო ვალდებულებები და ხარჯები. მაგალითად, დაბინავების შესახებ აქტმა (Quartering Act) ბრიტანელ ჯარისკაცებს კოლონისტთა სახლებში ცხოვრების ნება დართო. ასეთმა ქმედებამ კვლავ გაზარდა ბრიტანეთის კონტროლქვეშ მყოფ კოლონიებში დიდი არმიის შენახვით გამოწვეული შიში.

კრიტიკოსები დიდ ბრიტანეთში შეშფოთებას გამოხატავდნენ მეფისა და მინისტრების მზარდი ძალაუფლების გამო, რომ არმიასა და ფლოტზე მათი კონტროლი საფრთხით ემუქრებოდა ხალხის უფლებებს. ამის კვალობაზე კოლონისტებიც უფრო და უფრო მოიცვა განგაშმა. მათი შეშფოთება ბრიტანეთის მმართველობაში კორუფციის თაობაზე სულ უფრო მატულობდა. პარალელურად იზრდებოდა ოპოზიციური განწყობაც ამ მმართველობის მიმართ.

1770 წლის ბოსტონის სისხლისღვრა იყო ის მორიგი მოვლენა, რამაც ამერიკელები კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ბრიტანეთის ხელისუფლება მათ უფლებებს ემუქრებოდა. მოქალაქეთა ბრბომ შეტევა განახორციელა ბოსტონში განლაგებულ საბაჟო სახლის საგუშაგოზე, რის გამოც ბრიტანელმა ჯარისკაცებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს – შვიდი კაცი იქნა მოკლული. მოგვიანებით, იმ ბრიტანელ ჯარისკაცებს, რომლებსაც მკვლელობაში ედებოდათ ბრალი, მოუხსნეს ბრალდება და გაამართლეს. შესაძლოა, გადასახადები და სხვა მოვალეობები ტირანიის არცთუ ისე გამოკვეთილ ნიშნებს ატარებდა, მაგრამ მოქალაქეთა მკვლელობა ასეთთა რიგს უკვე აღარ განეკუთვნებოდა. ბოსტონის სისხლისღვრამ კიდევ უფრო გაზარდა კოლონისტთა წინააღმდეგობა ბრიტანული კონტროლის მიმართ.

1773 წლის „ჩაის აქტი“, რომელმაც არსებითად შეამცირა გადასახადი კოლონიებში იმპორტირებულ ჩაიზე, მაგრამ კვლავ დაადასტურა პარლამენტის მიერ კოლონიების დაბეგვრის უფლება, ყველგან წინააღმდეგობას წააწყდა. ყველაზე დრამატულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა **ბოსტონის ჩაის პარტია,** რეიდი, რომლის დროსაც ინდიელთა ტანსაცმელში გამოწყობილი კოლონის-

ტები ბრიტანეთის გემებზე ავიდნენ და იქ მოთავსებული ჩაი მთლიანად ზღვაში გადაუძახეს. ბრიტანეთის ხელისუფლების მწვავე რეაქციას, რასაც ამერიკელებმა „აუტანელი აქტები“ (Intolerable Acts) უწოდეს, შედეგად მოჰყვა ბოსტონის ნავსადგურის დახურვა.

ამას გარდა, დიდმა ბრიტანეთმა მასაჩუსეტსში შეასუსტა წარმომადგენლობითი მმართველობა. დიდი უფლებები მისცა აქ მეფის გუბერნატორს, მკაცრად შეზღუდა საქალაქო შეკრებები, შეასუსტა სასამართლოთა სისტემა და დაგეგმა კოლონიის მასობრივი ოკუპაცია ბრიტანეთის ჯარების მიერ.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲬᲘᲜ ᲐᲦᲣᲓᲒᲜᲔᲜ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲡ

1774 წლის დასასრულისათვის 13-დან 12-მა კოლონიამ თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნა ფილადელფიის შეკრებაზე, რათა მოეძებნათ საუკეთესო პასუხი ბრიტანეთის ხელისუფლების აქციებზე. ამ შეხვედრას პირველი კონტინენტური კონგრესი ეწოდა. მისი წევრები შეთანხმდნენ კოლონიებისთვის აეკრძალათ დიდ ბრიტანეთთან ვაჭრობა, მის პოლიტიკაზე ზეწოლის მიზნით. ბრიტანეთმა ეს გადაწყვეტილება ხელისუფლებისადმი უპასუხისმგებლო დაუმორჩილებლობად მიიჩნია და თავის ჯარებს უბრძანა მასაჩუსეტსის წამყვან კოლონისტთა დაპატიმრება.

ამ დროისთვის მრავალი რადიკალი კოლონისტი, განსაკუთრებით ახალ ინგლისში, ომს ამზადებდა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. მათ სჯეროდათ, რომ ხალხს აქვს ნებისმიერი მმართველობის დამხობის უფლება, თუ იგი არ იცავს მის უფლებებს. კოლონისტებმა „მინითმენებისაგან“ შემდგარი სამოქალაქო არმია შექმნეს. „მინითმენი“ კი მებრძოლებს ეწოდათ იმის აღსანიშნავად, თუ რაოდენ სწრაფად შეეძლოთ მათ საბრძოლველად გამგზავრება ბრიტანეთის შემოტევის წინააღმდეგ, რასაც ყველა მოელოდა.

ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

1775 წლის 19 აპრილს ბრიტანეთის ჯარებმა კონკორდისაკენ (მასაჩუსეტსის შტატი) სცადეს მსვლელობა, სადაც, მათი მონაცემებით, „მინითმენების“ შეიარაღება და ამუნიცია ინახებოდა. კოლონისტებმა შეიტყვეს ამის შესახებ. პოლ რევერმა და უილიამ დოუსმა შემოიარეს მთელი არე-მარე, რათა ხალხი გაეფრთხილებინათ ბრიტანელთა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. იმავე დღეს, ქალაქების – ლექსინგტონისა და კონკორდის მახლობლად, გაჩაღდა ომი კოლონიებსა და დიდ ბრიტანეთს შორის – მოხდა გასროლა, რომელიც „მთელმა მსოფლიომ გაიგონა“.

კოლონიების წარმომადგენლები ფილადელფიაში შეხვდნენ ერთმანეთს კონტინენტურ კონგრესზე და გადაწყვიტეს ბრიტანელთათვის წინააღმდეგობის გაწევა. 1775 წლის 15 ივნისს კოლონიური არმიის მთავარსარდლად ჯორჯ ვაშინგტონი აირჩიეს. ერთი წლის შემდეგ კი კონგრესმა მიმართა კომიტეტს, შეედგინა დოკუმენტი, რომლითაც განუმარტავდა მსოფლიოს, თუ რატომ თვლიან კოლონიები აუცილებლად აქ დაწესებული მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებას და მისგან გათავისუფლებას. დოკუმენტი, პროექტის სახით, კომიტეტის სხვა წევრთა დახმარებით, თომას ჯეფერსონმა შეადგინა. შემდგომში ეს დოკუმენტი ცნობილი გახდა **დამოუკიდებლობის დეკლარაციის** სახელწოდებით.

ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ

1. ბრიტანეთის მმართველობის კრიტიკოსებს სჯეროდათ, რომ იგი კორუმპირებული ხდებოდა. რა მტკიცებულებანი გააჩნდათ მათ ამ აზრის სასარგებლოდ?

2. 1760 წლისთვის ამერიკელმა კოლონისტებმა წინააღმდეგობა წამოიწყეს ბრიტანეთის ხელისუფლების გარკვეული აქციების წინააღმდეგ. რაში გამოიხატებოდა ეს აქციები და რატომ ეწინააღმდეგებოდა მათ მრავალი ამერიკელი?

3. ბრიტანეთის ხელისუფალთა უმრავლესობას სწამდა, რომ მათი პოლიტიკა კოლონიებში სწორი და სამართლიანი იყო. რა არგუმენტები მოგეპოვებათ ამ აზრის მხარდასაჭერად?

4. ჩამოთვალეთ ის სპეციფიკური მოვლენები, რომლებმაც წარმოშვა ამერიკელთა აჯანყების გადაწყვეტილება ბრიტანეთის მმართველობის წინააღმდეგ. ყოველ ამ მოვლენას მიუსადაგეთ ის ძირითადი იდეა მმართველობის შესახებ, რომელიც დასახელებული მოვლენის გამო დაირღვა. შემდეგ კი, ამ იდეებსა და მოვლენებზე დაყრდნობით, სცადეთ, დაასაბუთოთ ბრიტანეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ამერიკული რევოლუციის მართლზომიერება.

5. „ჩაის საწინააღმდეგო ლიგებისა“ და „იმპორტის საწინააღმდეგო ჯგუფების“ ჩამოყალიბებით, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ბრიტანეთიდან კოლონიებში იმპორტირებული საქონლის ბოიკოტს, ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციურ ბრძოლაში. რას გეუბნებათ ქვემოთ მოყვანილი ციტატა იმის შესახებ, თუ როგორ წარმოედგინათ ქალებს თავიანთი როლი კოლონიურ პოლიტიკაში?

„დაე, თავისუფლების ქალიშვილებს, ღირსეულად რომ აღსდგნენ, აგრეთვე იმათ, ვინც ხმასაც კი ვერ იღებს და უგულვებელყოფილია, მოგვცენ საშუალება ვიტვირთოთ გადასახადების სიმძიმე“.

გაკვეთილი 9
მმართველობის რომელ ძირითად იდეებს შეიცავს დამოუკიდებლობის დეკლარაცია?

მეცხრე გაკვეთილის მიზანი

დამოუკიდებლობის დეკლარაცია მმართველობის თაობაზე შეიცავს მრავალ ისეთ ძირითად იდეას, რომელსაც იმთავითვე დაეფუძნა ჩვენი სახელმწიფო. ეს გაკვეთილი თქვენ დაგეხმარებათ დეკლარაციის არსში გასარკვევად, აგრეთვე იმის გასაგებად, თუ როგორაა გამოყენებული ხსენებული იდეები დიდი ბრიტანეთისაგან კოლონიათა გამოყოფის გასამართლებლად.

ამ გაკვეთილის დასასრულს თქვენ შეძლებთ განმარტოთ დეკლარაციაში მომარჯვებული მთავარი არგუმენტები.

კოლონისტების გალაშქრება მეფის წინააღმდეგ

თომას ჯეფერსონი იყო სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მწერალი, არქიტექტორი და მეცნიერი. ის ვირჯინიაში დაიბადა. რევოლუციური ომის ადრეულ პერიოდში ჯეფერსონი უდრტვინველად ეწეოდა კონტინენტური კონგრესის წევრის მოვალეობას. იგი არ იყო ცნობილი როგორც მჭერმეტყველი, რომელსაც შეეძლო დიდი აუდიტორიების „ხელში აყვანა“, სამაგიეროდ, ჰქონდა პატარა კომიტეტებში კარგად მუშაობის რეპუტაცია და დიდად ფასობდა წერის ბრწყინვალე სტილით. ამ ტალანტის გამო სწორედ ჯეფერსონი შეარჩიეს დამოუკიდებლობის დეკლარაციის პროექტის შემდგენლად.

კონტინენტური კონგრესის მიერ 1776 წლის 4 ივლისს მიღებულმა დამოუკიდებლობის დეკლარაციამ საუკეთესოდ შეაჯამა კოლონისტთა ძირითადი იდეები მმართველობის შესახებ და, აგრეთვე, წინააღმდეგობანი ბრიტანეთის ბატონობისადმი, რამაც ამერიკელებს შთააგონა, წამოეწყოთ რევოლუცია.

ბოლო გაკვეთილში თქვენ შეიტყვეთ რა პრეტენზიები ჰქონდათ კოლონისტებს ბრიტანეთის პარლამენტის მიმართ. თუმცა დამოუკიდებლობის დეკლარაციაში თავიანთი სამდურავი მათ მეფეს წარუდგინეს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კოლონისტებმა შეუტიეს ბრიტანეთის მეფეს და, საზოგადოდ, მონარქიის იდეას.

დამოუკიდებლობის დეკლარაციის მთავარი არგუმენტები

ამერიკის კონსტიტუციური მმართველობის განვითარებაში დამოუკიდებლობის დეკლარაცია შემობრუნების მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით მისი არგუმენტაციის ძირითადი მომენტების შეჯამებას.

1. ხალხის უფლებები ემყარება ბუნებით სამართალს, რომელიც ადამიანთა მიერ შექმნილზე უფრო მაღალი სამართალია, არც კონსტიტუციებს და არც ხელისუფალთ არ ხელეწიფებათ მისი დარღვევა. მაგრამ თუკი ხელისუფლება დაარღვევს ბუნებით სამართალს და ხალხს წაართმევს მათ უფლებებს, მაშინ იგი უფლებამოსილია შეცვალოს ან გააუქმოს ხელისუფლება და შექმნას ახალი.

2. კოლონისტებსა და მეფეს შორის არსებობდა შეთანხმება, რომლის ძალით, კოლონისტები ეთანხმებოდნენ მეფის მმართველობას, ვიდრე იგი არ ხელყოფდა მათ უფლებებს სიცოცხლეზე, თავისუფლებასა და საკუთრებაზე.

3. ვინაიდან კოლონისტებსა და პარლამენტს შორის არ არსებობდა შეთანხმება, რომლის ძალით პარლამენტი მონაწილეობას მიიღებდა კოლონიების მმართველობაში, მას არც ჰქონდა დაბეგვრის უფლება. ეს კი, კოლონისტთა მტკიცებით, განსაკუთრებით იმით დასტურდებოდა, რომ კოლონიებს არ ჰქონდათ პარლამენტში თავიანთი წარმომადგენლობის უფლება.

4. მეფემ დაარღვია არსებული შეთანხმება – პარლამენტთან ერთად ის თანამიმდევრულად ართმევდა კოლონისტებს იმ უფლებებს, რომელთა დასაცავადაც თვითონ იყო მოწოდებული. მაშასადამე, კოლონისტებს სრული უფლება ჰქონდათ უარი ეთქვათ მოცემულ თანხმობაზე, რომლის ძალით მათ მმართველობას მეფე განაგებდა. აგრეთვე, უფლება ჰქონდათ დაეწესებინათ საკუთარი მმართველობა.

დამოუკიდებლობის დეკლარაციამ კონსტიტუციური დემოკრატიის კიდევ რამდენიმე იდეალი დაამკვიდრა. შეერთებული შტატების ისტორიის უმეტესი ნაწილი იმის მცდელობა იყო, რომ ეს იდეალი ყველასათვის რეალობად ექცია. მომდევნო გაკვეთილებში ჩვენ შევიტყობთ, თუ როგორ თანდათან მოიპოვეს ეს უფლებები შავკანიანებმა, სხვა უმცირესობებმა და ქალებმა.

რა ძირითადი იდეებია დაუნჯებული დამოუკიდებლობის დეკლარაციაში?

დამოუკიდებლობის დეკლრაციის სრული ტექსტი, თავდაპირველი სახით, წიგნის ბოლოსაა დაბეჭდილი. წინამდებარე ნაწყვეტები მხოლოდ მისი ძირითადი იდეებია. წაიკითხეთ ისინი და მოემზადეთ მომდევნო შეკითხვებზე საპასუხოდ.

დამოუკიდებლობის დეკლარაციის შესწავლისას

1. რა არის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში აღწერილი ხელისუფლების მიზანი? რამდენად ემსაგვსება ან სცილდება ის ბუნებითი უფლებების ფილოსოფოსების მიერ აღწერილი მმართველობის მიზანს?
2. რას ამბობს დამოუკიდებლობის დეკლარაცია ხალხის უფლებებზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლების საქმიანობა საზიანოა მათი ბუნებითი უფლებებისათვის? როგორ უკავშირდება იგი ბუნებითი უფლებების ფილოსოფოსთა იდეებს?
3. თქვენი აზრით, რას გულისხმობდა ჯეფერსონი, როდესაც ამბობდა, რომ ყველა ადამიანს ,, არსთა გამრიგეს ...უბოძა გარკვეული ხელშეუვალი უფლებანი“? რამდენად უკავშირდება ეს პოზიცია ბუნებითი უფლებების ფილოსოფიას?
4. როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობდა ჯეფერსონი, როდესაც წერდა, რომ ,,ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორად“? ხომ არ გულისხმობდა იგი, რომ ყველას ერთნაირი უნარი და ხასიათი აქვს?
5. რა ძირითადი უფლებებია ასახული დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან ამოკრებილ ნაწყვეტებში? რამდენად ემსგავსებიან ისინი ბუნებითი უფლებების ფილოსოფოსთა მიერ ჩამოთვლილ უფლებებს ან რით განსხვავდებიან მათგან?
6. დამოუკიდებლობის დეკლარაცია ეს არის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი თხზულება, რომელიც ადამიანის უფლებების წინაპირობებს განსაზღვრავს. ხომ არ გაგონდებათ თქვენ ამ საუკუნეში სიტუაცია, როდესაც ეს დოკუმენტი გაამართლებდა მშვიდობიან ან ძალადობრივ ცვლილებებს?

გაკვეთილი 10
მმართველობის რომელი იდეები აისახა შტატების კონსტიტუციებში?

მეათე გაკვეთილის მიზანი

1775 წლის რევოლუციური ომის დაწყებისთანავე ახალმა შტატებმა დაიწყეს თავიანთი კონსტიტუციების შექმნა. ადრე არასდროს ჩამოყალიბებულა ამდენი ახალი ხელისუფლება, სადაც გამოყენებული იქნებოდა ბუნებითი უფლებების ფილოსოფიის, რესპუბლიკანიზმისა და კონსტიტუციური მმართველობის ძირითადი იდეები. შტატების კონსტიტუციებში ასახული უმთავრესი იდეების მიმოხილვა დაგანახებთ, თუ როგორ დააკისრეს ,,დამფუძნებელმა“ შტატების ხელი-

სუფლებას მათი უფლებების დაცვა და ამავე დროს, საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

გაკვეთილის დასასრულს თქვენ შეძლებთ ახსნათ, თუ როგორ აისახა შტატების კონსტიტუციებში ის მთავარი იდეები, რომლებიც უკვე შეისწავლეთ. თქვენ შესაძლებლობა გექნებათ, აგრეთვე, განმარტოთ ის ძირითადი განსხვავება, რომელიც არსებობს მასაჩუსეტსის შტატისა და სხვა შტატების კონსტიტუციებს შორის, როდესაც პირველი მოწოდებულია უფლებების დასაცავად, ხოლო სხვა კონსტიტუციები კი პიროვნების უფლებების დასაცავად. მაგრამ საამისოდ თქვენ უნდა იცოდეთ შემდეგი ცნებების მნიშვნელობა:

სახალხო სუვერენიტეტი
წარმომადგენლობითი მმართველობა
საკანონმდებლო უზენაესობა.

შტატების კონსტიტუციებში ასახული ექვსი ძირითადი იდეა

„დამფუძნებელთა“ გამოცდილება, რომელიც მათ შეიძინეს შტატების ახალი კონსტიტუციების ნაკლოვანებათა გაცნობის კვალდაკვალ, ძალიან სასარგებლო გამოდგა შეერთებული შტატების კონსტიტუციის შექმნისათვის. მომდევნო ნაწილი განმარტავს ამ კონსტიტუციებში ასახულ ძირითად იდეებს და იმას, თუ რით განსხვავდებოდა მასაჩუსეტსის კონსტიტუცია სხვებისაგან.

1. უმაღლესი კანონი და ბუნებითი უფლებები

ყოველი შტატის კონსტიტუცია განიხილებოდა იმ უმაღლეს კანონად, რომელსაც უნდა დამორჩილებოდნენ ხელისუფლების მესვეურები. ყოველი მათგანი გამოხატავდა იდეას, რომ მმართველობის მიზანია სიცოცხლეზე, თავისუფლებასა და საკუთრებაზე მოქალაქეთა ბუნებითი უფლებების დაცვა და გაფრთხილება.

2. სოციალური კონტრაქტი

ყველა შტატის კონსტიტუცია მკაფიოდ გამოხატავდა აგრეთვე იმ აზრს, რომ მათი ხელისუფლება შეიქმნა როგორც სოციალური კონტრაქტის შედეგი, ანუ ხალხის შეთანხმება მათი ბუნებითი უფლებების დაცვის მიზნით მმართველობის დაწესების თაობაზე.

3. სახალხო სუვერენიტეტი

ყველა შტატის კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო სახალხო სუვერენიტეტის იდეა, რომ ხელისუფლების უფლებამოსილებათა წყარო არის ხალხი.

4. წარმომადგენლობა და საარჩევნო ხმის უფლება

შტატების კონსტიტუციების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშანთვისებას წარმოადგენდა თავიანთ ხელისუფლებაში ხალხის წარმომადგენლობის არსებობა. ყველა კონსტიტუცია აწესებდა ლეგისლატურებს, რომლებიც ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობისგან შედგებოდა.

უმეტეს შტატში საარჩევნო ხმის უფლება მხოლოდ თეთრკანიან მესაკუთრეებს ეძლეოდათ. მაგრამ, ვინაიდან კოლონიებში საკუთრების შეძენა შედარებით იოლი საქმე იყო, საარჩევნო ხმის უფლების მქონეთა რიცხვი შტატებში მეტი იყო, ვიდრე დიდ ბრიტანეთში. შეერთებულ შტატებში ამერიკული რევოლუციის დროს, თეთრკანიანთა 70% იყო საკმარისი ქონების მესაკუთრე იმისათვის, რომ საარჩევნო უფლება მოეპოვებინა; ამავე დროს, დიდ ბრიტანეთში 10%-ს შეიძლებოდა ჰქონოდა ხმის მიცემის უფლება.

შვიდ შტატში თავისუფალ შავკანიანებსა და ინდიელებსაც ჰქონდათ საარჩევნო ხმის უფლება, თუ მათი ქონებრივი ცენზი აკმაყოფილებდა მოთხოვნას. ხოლო ნიუ-ჯერსიში ხმის უფლება ეძლეოდა „მთელ სრულწლოვან მოსახლეობას, ვისაც 50 ფუნტი მაინც გააჩნდა“ და პასუხობდა შტატში 24-თვიანი მუდმივი ბინადრობის მოთხოვნას; ამ წესების თანახმად, ქალებიცა და შავკანიანებიც მონაწილეობდნენ არჩევნებში, ვიდრე ნიუ-ჯერსის ახალმა კანონმა 1807 წელს არ ჩამოართვა ეს უფლება ქალებს. 12-მა შტატმა საგანგებოდ ჩამოართვა ქალებს საარჩევნო ხმის უფლება იმით, რომ კონსტიტუციების ტექსტში სიტყვა „მამაკაცები“ შეიტანა.

5. საკანონმდებლო უზენაესობა

მაშინ როდესაც ყველა შტატის კონსტიტუცია ითვალისწინებდა კონტროლისა და გაწონასწორების სისტემას და ხელისუფლებათა გამოყოფას, მათი უმეტესობა მაინც მოქალაქეთა უფლებების დასაცავად ძლიერ ლეგისლატურასა და უმრავლესობის პრინციპს ემყარებოდა.

საკანონმდებლო უზენაესობა ნიშნავს ისეთ მმართველობას, რომელშიც უფლებამოსილებათა უმეტესი ნაწილი კანონმდებელს, ლეგისლატურას ეძლევა. საკანონმდებლო უზენაესობასთან დაკავშირებით ზოგიერთ პრობლემას ამ და სხვა გაკვეთილებში განვიხილავთ. საკანონმდებლო უზენაესობისადმი ასეთ რწმენას თავისი მიზეზები აქვს:

- საკანონმდებლო ხელისუფლება ნიშნავს ისეთ მმართველობას, რომელშიც უფლებამოსილებათა უმეტესი ნაწილი კანონმდებელს, ლეგისლატურას ეძლევა. საკანონმდებლო უზენაესობასთან დაკავშირებით ზოგიერთ პრობლემას ამ და

სხვა გაკვეთილებში განვიხილავთ. საკანონმდებლო უზენაესობისადმი ასეთ რწმენას თავისი მიზეზები აქვს:

- საკანონმდებლო ხელისუფლება შედგება ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან, რომელთა გაწვევა ასევე ხალხს შეუძლია. ამიტომ იგი ხელისუფლების ყველაზე უფრო დემოკრატიული და უსაფრთხო განშტოებაა, რომელსაც, მიჩნეულია, რომ შეიძლება მისცე დიდი უფლებამოსილებანი და იგი საუკეთესოდ დაიცავს მოქალაქეთა უფლებებს, ხელს შეუწყობს მათ კეთილდღეობას.
- აღმასრულებელი ხელისუფლება არ უნდა აღიჭურვოს მეტისმეტი უფლებამოსილებებით, რადგან იგი ძნელად ექვემდებარება კონტროლს. უთუოდ გახსოვთ, რომ კოლონისტთა და ბრიტანეთის მმართველობას შორის წამოჭრილ უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა აღმასრულებელი ხელისუფლება – მეფე და მისი მინისტრები, აგრეთვე, მეფის გუბერნატორები და კოლონიებში.
- გარკვეული სირთულეები კოლონისტებს ჰქონდათ სასამართლო ხელისუფლებასთანაც, მეფის მაგისტრატებთან, რომლებიც კოლონისტებს ასამართლებდნენ ბრიტანეთის კანონების დარღვევისათვის. მაგრამ ამ ხელისუფლების უფლებამოსილება შეზღუდული იყო, რადგან კოლონისტებს უფლება ჰქონდათ, რომ ისინი გაესამართლებინა თვით კოლონისტებისაგან შემდგარ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. ეს სასამართლო კი იშვიათად ცნობდა ადამიანს დამნაშავედ იმ კანონის დარღვევისათვის, რომელსაც კოლონისტები არ ეთანხმებოდნენ.

შტატების კონსტიტუციებში მოიპოვება საკანონმდებლო უზენაესობის შემდეგი მტკიცებულებანი:

- მრავალი შტატის კონსტიტუცია ითვალისწინებდა აღმასრულებელი ხელისუფლების არსებობას, მაგრამ ამყოფებდა მათ ლეგისლატურებზე დამოკიდებულ მდგომარეობაში. მაგალითად, ლეგისლატურებს ენიჭებოდათ გუბერნატორის შერჩევისა და მისი ჯამაგირის კონტროლის უფლება.
- თანამდებობა გუბერნატორებს მხოლოდ ერთი წლით ეკავათ. ასეთი შეზღუდვა იმას ემსახურებოდა, რომ თანამდებობაზე ყოფნისას მათ არ ჰქონდათ საკმარისი დრო მეტისმეტი ძალაუფლების მოსაპოვებლად.
- გუბერნატორის დანიშვნაზე დასტური ლეგისლატურებს უნდა მიეცა.
- გუბერნატორები თითქმის მთლიანად იყვნენ ჩამოცილებული კანონშემოქმედებით საქმიანობას, რის უფლებასაც ლეგისლატურები მხოლოდ თავისთვის ინარჩუნებდნენ. გუბერნატორებს არც იმის უფლებამოსილება ჰქონდათ, რომ ვეტო დაედოთ კანონმდებლობისათვის, რომელსაც ისინი ეწინააღმდეგებოდნენ.

6. ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲬᲝᲜᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

მიუხედავად იმისა, რომ შტატების მმართველობაში უფლებამოსილებანი არათანაბრად იყო განაწილებული ძლიერი ლეგისლატურების სასარგებლოდ, მათ კონსტიტუციებში მაინც იყო გათვალისწინებული საკანონმდებლო ხელისუფლების გარკვეული კონტროლი. მაგრამ ასეთი კონტროლი, უპირატესად, საკუთრივ ლეგისლატურების ფარგლებში იყო მოქცეული. მაგალითად, ყველა შტატის ლეგისლატურა, პენსილვანიისა და ჯორჯიას შტატების გამოკლებით, გამოყოფილი იყო ორ პალატად, ისევე, როგორც ეს ბრიტანეთის პარლამენტში ხდებოდა. უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს არსებითად ორივე პალატა იღებდა, თუმცა, თითოეულს ჰქონდა მეორეს გაკონტროლების უფლება. მაგრამ, ბრიტანეთის პარლამენტისა და კოლონიური მმართველობებისაგან განსხვავებით, შტატების ლეგისლატურების ორივე პალატა იქმნებოდა ხალხის მიერ რჩეული წარმომადგენლებისაგან. მაშასადამე, ამომრჩევლებს, თუ ისინი არ მოიწონებდნენ ხელისუფლების მუშაობას, შეეძლოთ გადაესინჯათ თავიანთი არჩევანი ორივე პალატაში ახალი წარმომადგენლების არჩევის გზით.

უთუოდ გახსოვთ, რომ ლორდთა პალატა და თემთა პალატა ბრიტანეთის პარლამენტებში საზოგადოების სხვადასხვა ფენას წარმოადგენდა. ამ გზით ნებისმიერ ფენას შეეძლო სხვისი ინტერესების გაკონტროლება და, საჭიროებისას, საკუთარი ინტერესების დაცვა. ზოგიერთმა შტატმა სცადა, თავიანთი ლეგისლატურები სწორედ ამ ფორმით მოეწყო. მხოლოდ მდიდარ მესაკუთრეებს შეეძლოთ წარმომადგენლების არჩევა ზედა პალატაში, მაშინ, როდესაც შედარებით ნაკლები მესაკუთრეები თავიანთ წარმომადგენლებს ირჩევდნენ ქვედა პალატაში.

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ

ამრიგად, 12 შტატის კონსტიტუციაში ხელისუფლების სასწორი ლეგისლატურების სასარგებლოდ იყო გადახრილი.

1. როგორ და რატომ მოხდა ასე?

2. რა არის საკანონმდებლო უზენაესობის მომგებიანი და წამგებიანი მხარეები?

ᲛᲐᲡᲐᲩᲣᲡᲔᲢᲡᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ

1780 წელს მასაჩუსეტსის შტატმა ყველაზე გვიან მოახდინა საკუთარი კონსტიტუციის რატიფიკაცია. იგი ძირითადად ჯონ ადამსმა დაწერა და არსებითად განსხვავდებოდა სხვა კონსტიტუციებისაგან. ხელისუფლების ბოროტად გამო-

ყენების აღსაკვეთად, წარმომადგენლობითი მმართველობის პრინციპის გარდა, მან ხელისუფლებათა განაწილების, აგრეთვე, კონტროლისა და გაწონასწორების ტრადიციულ მეთოდებსაც მიმართა, ამით მასაჩუსეტსის კონსტიტუციამ ხელისუფლების სხვა განშტოებებს შტატის ლეგისლატურის უფრო ეფექტიანი კონტროლის საშუალება მისცა, ვიდრე სხვა კონსტიტუციებმა; ამით ის გაცილებით მეტად ინარჩუნებდა ბრიტანეთის მმართველობასთან მსგავსებას, ვიდრე დანარჩენი შტატების კონსტიტუციები.

შესაძლოა, მასაჩუსეტსის კონტიტუციის გამორჩეულობის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მისი შექმნის პერიოდში სირთულეები იყო სწორედ იმ შტატებში, სადაც ლეგისლატურებს ჭარბი უფლებები ჰქონდათ მინიჭებული. ამ სირთულეებს მომდევნო გაკვეთილებში განვიხილავთ.

ვინაიდან მასაჩუსეტსის კონსტიტუცია ძალიან წააგავს შეერთებული შტატების ამჟამინდელ კონსტიტუციას, გაუმართლებელი იქნებოდა მისი მეტი გამოწვლილვით განხილვა. კონტურებში ქვემოთ მონიშნულია მასაჩუსეტსის კონტიტუციის მხოლოდ ზოგიერთი მნიშვნელოვანი მხარე.

1. ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება

მასაჩუსეტსის კონსტიტუციის მიხედვით გუბერნატორს ხალხი ირჩევდა. ამიტომ კონსტიტუციის ავტორთა აზრით, გაცილებით უფრო საიმედო იქნებოდა მისთვის ფართო უფლებამოსილებათა მინიჭება, ხალხის უფლებებისა და კეთილდღეობის დასაცავად.

ლეგისლატურისგან გუბერნატორის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და იმისათვის, რომ ამ უკანასკნელს შესძლებოდა საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებათა კონტროლი, მასაჩუსეტსის კონსტიტუციაში შემდეგი დებულებები შევიდა:

- გუბერნატორის ჯამაგირი ფიქსირებულად ითვლებოდა და მისი შეცვლა ლეგისლატურას არ შეეძლო.
- გუბერნატორს უფლება ჰქონდა ვეტო დაედო ლეგისლატურის მიერ მიღებულ კანონებზე და მისი გადალახვა ლეგისლატურას შეეძლო მხოლოდ თავისი წევრების ხმათა 2/3 -დით.
- გუბერნატორს შეეძლო დაენიშნა თანამდებობის პირები აღმასრულებელ ხელისუფლებაში და მოსამართლეები – სასამართლო ხელისუფლებაში, ლეგისლატურის ერთობ მცირედი ჩარევით.

2. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლობა

მასაჩუსეტსის კონსტიტუციის ცალკეული ნაწილებიდან ჩანს, რომ ამ შტატის მმართველობა ბრიტანეთის მმართველობის მსგავსად არის მოწყობილი. შესაძლოა თქვენ გახსოვთ, რომ დიდ ბრიტანეთში ხელისუფლება განაწილებული იყო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს, დიდგვაროვან თავადაზნაურებსა და უბრალო ხალხს შორის. ხელისუფლებათა ასეთი განაწილების ძირითადი დანიშნულება იყო ერთი ჯგუფის მეორეზე სრული გაბატონების აღკვეთა. შეერთებულ შტატებში არც სამეფო გვარი არსებობდა და არც დიდგვაროვანი თავადაზნაურობა, რათა მათ კუთვნილი ადგილი მისჩენოდათ მონარქიაში ან ლორდთა პალატაში. მაგრამ, მასაჩუსეტსის კონსტიტუცია სხვა ნიშნით ახდენდა ხალხის დაყოფას სხვადასხვა ჯგუფად, მათი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით.

- მხოლოდ მსხვილ მესაკუთრეებს შეეძლოთ გუბერნატორის არჩევა.
- ნაკლებად მსხვილი მესაკუთრეები შტატის ლეგისლატურის ზედა პალატის წევრებს ირჩევდნენ.
- მცირედი ქონების მესაკუთრეები მონაწილეობდნენ ქვედა პალატის არჩევაში.

რით განსხვავდებოდა მასაჩუსეტსის კონსტიტუცია სხვა შტატების კონსტიტუციებისაგან?

მასაჩუსეტსის კონსტიტუცია შედარებით მეტ წონასწორობას ითვალისწინებდა სხვადასხვა ხელისუფლებას შორის. ამ კონსტიტუციით ლეგისლატურა არ იყო ყველაზე ძლიერი ხელისუფლება, როგორც სხვა შტატებში. ასეთი განცხადება ერთგვარად მოასწავებდა იმის განსხვავებულ ხედვას, თუ რა გზით შეიძლებოდა უფრო უკეთ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება ხელისუფლებათა მხრივ.

- სხვა შტატების კონსტიტუციები ემყარებოდნენ იმ თვალსაზრისს, რომ შტატის ძლიერ ლეგისლატურაში ხალხის წარმომადგენლობა იყო მათივე უფლებების დაცვის საუკეთესო გზა.
- მასაჩუსეტსის კონსტიტუცია ემყარებოდა შეხედულებას, რომ ხალხის წარმომადგენლობასა, ხელისუფლებათა განაწილებასა, კონტროლისა და გაწონასწორების სისტემას არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხალხის უფლებების დაცვაში.

ცოდნის შემოწმება და შესწავლილი მასალის გამოყენება

1. დამოუკიდებლობის დეკლარაციის რომელმა იდეებმა ჰპოვა ასახვა შტატების კონსტიტუციებში, რომლებიც შემდეგ დაიწერა?

2. ადრეული კოლონიური პერიოდიდან მოყოლებული, საარჩევნო ხმის უფლებებისათვის აუცილებელი იყო ქონების მესაკუთრე ყოფილიყავი. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს მოთხოვნა ეწინააღმდეგება დემოკრატიის ძირითად პრინციპებს? განმარტეთ თქვენი პასუხი.

3. აღწერეთ, რა საშუალებით მიაღწიეს შტატების კონსტიტუციებმა, რომ ლეგისლატურა მეტი უფლებით ყოფილიყო აღჭურვილი, ვიდრე გუბერნატორი.

4. რატომ იყო, რომ უმეტესი შტატების კონსტიტუციები, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა ხარჯზე, სწორედ ლეგისლატურას აკუთვნებდნენ სახელმწიფო უფლებამოსილებათა მეტ წილს?

5. მასაჩუსეტსის კონსტიტუცია მნიშვნელოვანი ასპექტებით განსხვავდებოდა დანარჩენი შტატების კონსტიტუციებისაგან. აღწერეთ ეს განსხვავებანი.

6. რა არგუმენტები შეგიძლიათ მოიშველიოთ მასაჩუსეტსის კონსტიტუციის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვით, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისაგან მოქალაქეთა დაცვის საუკეთესო საშუალება – ეს არის წარმომადგენლობის, ხელისუფლებათა განაწილების, კონტროლისა და გაწონასწორების პრინციპების კომბინაცია?

7. თქვენი აზრით, გუბერნატორი უფრო ლეგისლატურამ უნდა აირჩიოს თუ ხალხმა? უნდა ჰქონდეს თუ არა მას ლეგისლატურის გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლება? განმარტეთ თქვენი პასუხი.

8. რა არგუმენტები გაგაჩნიათ თქვენ საკანონმდებლო უზენაესობის იდეის (რომელიც აისახა უმეტესი შტატების კონსტიტუციებში) სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ?

ინგლისურიდან თარგმნეს:
მინდია უგრეხელიძემ და ვიქტორ ყიფიანმა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)